საქართველო აჭარის ა.რ.
შპს "სანდასუფთავება"

GEORGIA AJARIAN A.R.
"SANDASUPTAVEBA" LTD

საქართველო, ბათუმი, ჯავახიშვილის 55
GEORGIA, BATUMI, JAVAKHISHVILI STR. 55

422 29 40 61
422 29 40 62

sandasuftavebabatumi@gmail.com

03/04/2019
N 336

336-0-2-201904031125

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის
სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
რექტორს ბატონ ირაკლი შარაბიძეს
ქ. ბათუმი, რუსთაველის გამზირი N53

ბატონო ირაკლი,

თქვენს მიერ გამოგზავნილი 2019 წლის 02 აპრილის №03/1453 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ„ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2016 წლის 29 იანვრის №3 დადგენილების შესაბამისად ქ. ბათუმში, რუსთაველის გამზირი №53-ში მდებარე სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას" 2330 სტუდენტზე და 223 თანამშრომელზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის სახით ყოველთვიურად დაერიცხება 1276.50X0.15=191,47 (ასოთხმოცდათერთმეტი და 47თეთრი) ლარი.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ინდივიდუალურ მეწარმეებზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის თარიღის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №49 დადგენილების შესაბამისად, დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა წარმოებს 2018 წლის 1 მაისიდან და 2019 წლის 01 აპრილის მდგომარეობით დავალიანება შეადგენს 2297,64 (ორიათას ორასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 64 თეთრი) ლარი.

თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22;
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი 300693189.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. ბათუმი ჯავახიშვილის ქუჩა №55 ტელ: (0422) 24-70-20)

პატივისცემით,
დავით დუმბაძე

დირექტორი

მიღებულია № 2883-11
03 04 19 წ.